

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების დევნა

2024

უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი

ავტორი: ნინო ჩალაძე
რედაქტორი: ალეკო ცქიტიშვილი

ანალიტიკური დოკუმენტი მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი..... 4

საზოგადოებრივი ორგანიზაციების დევნის საწყისები..... 4

კრიტიკული აზრის მქონე პირთა დევნა და ორგანიზებული თავდასხმები 7

I ფაზა - დისკრედიტაცია 7

II ფაზა - სატელეფონო მუქარები 8

III ფაზა - სიძულვილის გრაფიტები..... 9

IV ფაზა - ფიზიკური თავდასხმები..... 10

ანგარიშსწორება საპროტესტო აქციების მონაწილეებზე 11

- დავით ქაცარავას საქმე და სასამართლო პრაქტიკა 12

გამოძიებასთან დაკავშირებული გამოწვევები..... 13

დასკვნა..... 14

რეკომენდაციები 15

შესავალი

საზოგადოებრივი ორგანიზაციების წვლილი განუზომელია ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მათი ეროვნულ ფასეულობებთან კონფლიქტის წარმოჩენის მცდელობა, ერთი მხრივ, ლახავს ასეთი ორგანიზაციების რეპუტაციას, ხოლო, მეორე მხრივ, იწვევს მათზე თავდასხმების რისკებს.

წინამდებარე ანალიტიკური დოკუმენტი მიზნად ისახავს საქართველოში საზოგადოებრივი ორგანიზაციების დევნის საწყისების ანალიზის საფუძველზე, არსებული პრობლემებისა და გამოწვევების გამოკვეთას, კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეფასებას, შესაბამისი დასკვნების გამოტანას და გარკვეული რეკომენდაციების შემუშავებას.

ანალიტიკურ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ მოწინააღმდეგე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მათი წარმომადგენლების დევნის სხვადასხვა ფაზები: დისკრედიტაციის, სატელეფონო მუქარების, შეურაცხმყოფელი გრაფიტების და ფიზიკური თავდასხმების ქვეთავების სახით. დოკუმენტში ასევე განხილულია საპროტესტო აქციებზე დაკავებული პირებისადმი არასათანადო მოპყრობის შემთხვევები და გამოძიებასთან დაკავშირებული გამოწვევები. შინაარსობრივი მსგავსების გამო, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ” კანონი საზოგადოებაში „რუსული კანონის“ სახელით არის ცნობილი.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების დევნის საწყისები

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის დამახასიათებელია საზოგადოების წინაშე მოხელეთა ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა, ხელისუფლებისთვის მოთხოვნების წაყენება და მათი ქმედებების მონიტორინგი. საქართველოში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიდი ნაწილი იცავს ქალების, ბავშვების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მოხუცების, დევნილების, უმცირესობების და სხვა პირების უფლებებს როგორც სამართლებრივ, ისე - ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ კონტექსტში. მათი ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ქვეყნის დემოკრატიული განვითარების უზრუნველყოფაა.[1]

დემოკრატიულ ქვეყნებში საზოგადოებრივი ორგანიზაციები აკონტროლებენ, რომ ხელისუფლებამ დემოკრატიულ კურსს არ გადაუხვიოს. დემოკრატიზაციის პროცესში მყოფი ქვეყნების შემთხვევაში, ორგანიზაციები უმეტესწილად მუშაობენ სამართლის უზენაესობის, არჩევნების სამართლიანობის უზრუნველყოფის, ადამიანის უფლებების დაცვისა და სიღარიბის აღმოფხვრის მიმართულებით. ყველაზე მეტად საზოგადოებრივი ორგანიზაციები რისკების წინაშე ავტორიტარულ სახელმწიფოებში დგანან, რადგან

[1] ადამიანის უფლებათა ცენტრი; ნინო ჩალაძე; სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციის როლი ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში, ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმიანობის მიხედვით, 2024; გვ. 4-7; იხ. ბმული

დემოკრატიული იდეების განვითარების გამო, ისინი შესაძლოა რეპრესიების მსხვერპლნი გახდნენ. მაგალითად, რუსეთში, ბელარუსსა და აზერბაიჯანში, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა სრულიად აიკრძალა.[2]

საზოგადოებრივი ორგანიზაციების დადებითი როლის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან წლების განმავლობაში იკვეთებოდა სამოქალაქო სექტორის დისკრედიტაციის მცდელობა. საწყის ეტაპზე, ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის დაკნინებას და მათი როლის მცდარად წარმოჩენას. დეზინფორმაციულმა კამპანიამ საზოგადოების ნაწილში სამოქალაქო სექტორისადმი უნდობლობას ჩაუყარა საფუძველი. მაგალითად, თანამდებობის პირების მიერ კეთდებოდა განცხადებები, რითაც საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა გაიგივებული იყო ლგბტ+ თემის პროპაგანდასთან, „ნაცმოძრაობისთვის“ ძალაუფლების დაბრუნებასთან, პროვოკაციების მოწყობასთან, ეკლესიის მტრობასთან და სხვა მცდარ ნარატივებთან.[3]

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეფასებით, ძალადობის, კორუფციის, უკანონობისა და შერჩევითი სამართლის ასობით ფაქტის მხილების გამო ხდებოდა მათი დასჯა და ეს უკვე საკანონმდებლო დონეზეც ისახებოდა. კერძოდ, საქართველოს პარლამენტში 2023 წელს დარეგისტრირდა კანონპროექტები „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ” და „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“.[4] ინიციატივის თანახმად, „უცხოური გავლენის აგენტებად“ უნდა დარეგისტრირებულიყვნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მედიასაშუალებები, რომლებიც დაფინანსების ნაწილს უცხოეთიდან იღებდნენ.[5] მასშტაბური საპროტესტო აქციების შემდეგ, იმ პერიოდში პარლამენტმა აღნიშნული კანონის მიღებისგან თავი შეიკავა.[6] თუმცა, 2024 წლის 14 მაისს, საზოგადოების უპრეცედენტო პროტესტის მიუხედავად, საქართველოს პარლამენტმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი მაინც მიიღო.[7]

2024 წლის 29 მაისს საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პარლამენტის მიერ მიღებულ „რუსულ კანონს“ არ დაემორჩილებოდნენ,[8] რადგან ამ კანონის რეალურ მიზანს კრიტიკული ხმის ჩახშობა წარმოადგენს და ის არანაირ

---

[2] სამოქალაქო განათლება ყველასთვის; სამოქალაქო საზოგადოება და მონაწილეობა; იხ. ბმული; ასევე, თამარ კობერიძე; საუნივერსიტეტო კურსის საკითხავი მასალა სტუდენტებისთვის სამოქალაქო საზოგადოების როლი; გვ. 30; იხ. ბმული

[3] ინტერპრესნიუსი; „ირაკლი კობახიძე - ამ კანონპროექტმა თავისი საქმე გააკეთა: ყველამ აღიარა, რომ აგენტობა სათაკილოა, გაიგეს იმ ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც არასახელმწიფო საქმიანობაში არიან ჩართულები და ის, რომ ვერასდროს განხორციელდება „ბაკურიანის გეგმა“; 10.03.2023; იხ. ბმული

[4] სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება; „რუსული კანონი არ არის საქართველოს არჩევანი“; 21.02.2023; (ბოლო ნახვა: 20.12.2023); იხ. https://www.hrc.ge/470/geo/

[5] რადიო თავისუფლება - „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო; 07.03.2023; იხ. ბმული

[6] ინტერპრესნიუსი; „პარლამენტმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი მეორე მოსმენით ჩააგდო“, 10.03.2023 (ბოლო ნახვა: 18.12.2023); იხ. ბმული

[7] CDL-PI(2024)013; EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUG LA (VENICE COMMISSION) GEORGIA URGENT OPINION ON THE LAW ON TRANSPARENCY OF FOREIGN INFLUENCE issued on 21 May 2024; პარა. 7-17; იხ. ბმული; ინტერპრესნიუსი; პარლამენტმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი საბოლოო მოსმენით მიიღო; 14.05.2024; იხ. ბმული

[8] სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების განცხადება; რუსულ კანონს არ დავემორჩილებით; 29.05.2024; იხ. ბმული

კავშირში არაა გამჭვირვალობის უზრუნველყოფასთან. კანონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა იარლიყების მიკვრით, ორგანიზაციების სტიგმატიზაციაა. დაფინანსების მოძიების გამო ორგანიზაციების გამოყოფა და მათი უცხოური ინტერესების გამტარებლად შერაცხვა, რეპუტაციას ულახავს მათ და მიმართულია სიტყვის თავისუფლების ჩახშობისკენ. უფლებადამცველთა გაჩუმების რისკები მით უფრო მაღალია იმ ორგანიზაციებისა და მედიების შემთხვევაში, რომლებიც მთავრობის მიმართ კრიტიკულ მოსაზრებებს გამოხატავენ.

გაეროს უფლებადამცველთა დეკლარაციის თანახმად, ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს და მიიღოს დაფინანსება, თუნდაც უცხოეთიდან. დაფინანსების მოპოვება არ გულისხმობს უცხო ქვეყნის ინტერესების გატარებას, პირიქით, რაც უფრო მრავალფეროვანი დაფინანსება აქვს ამა თუ იმ ორგანიზაციას, მით მეტად არის მისი დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი.[9] აქედან გამომდინარე, ვენეციის კომისიამ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონში გაწერილ რეპრესიულ მექანიზმებსა და გამჭვირვალობის მიზანს შორის კავშირის ბუნდოვანებას გაუსვა ხაზი. კომისიის დასკვნის თანახმად, კანონი ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით გათვალისწინებულ ისეთ უფლებებს,[10] როგორიცაა: გაერთიანების თავისუფლება,[11] დისკრიმინაციისგან დაცვის უფლება,[12] გამოხატვის თავისუფლება[13] და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.[14] ასეთივე არგუმენტებით მიიღო ადამიანის უფლებათა სასამართლომ გადაწყვეტილება რუსეთის წინააღმდეგ.[15] მსგავსი კანონი არსებობდა უნგრეთშიც და მას, როგორც ევროკავშირის წევრ ქვეყანას, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება და კანონის გაუქმება დაევალა.[16]

საქართველოში საზოგადოებრივი ორგანიზაციების დისკრედიტაცია რეპრესიული კანონმდებლობის მიღებამდე დაიწყო. უფლებადამცველთა მდგომარეობის შესახებ გაეროს სპეციალურ მომხსენებელს 2023 წლის ვიზიტის დროს, ხელისუფლების ოფიციალურმა წარმომადგენლებმა უთხრეს, რომ ე.წ. აგენტების შესახებ კანონის აღდგენას აღარ აპირებდნენ, მაგრამ მომხსენებელმა გამოქვეყნებულ ანგარიშში ხაზი გაუსვა, რომ მიუხედავად კანონპროექტის უკან გაწვევისა, საქართველოში უფლებადამცველთა უფლებების დარღვევის ტენდენციებს უკვე შემაშფოთებელი სახე ჰქონდა. ამიტომ, მნიშვნელობა არა კანონის მიღება-არმიღებას, არამედ

---

[9] UN Declaration on Human Rights Defenders, art 13; ასევე, ადამიანის უფლებათა ცენტრი; ნინო ჩალაძე; სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციის როლი ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში, ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმიანობის მიხედვით; 2024; იხ. ბმული

[10] იქვე, პარა. 50; იხ. ბმული

[11] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მ. 11; სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მ. 22

[12] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მ. 14; სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მ. 26

[13] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მ. 10; სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მ. 19

[14] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მ. 8; სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მ. 17

[15] Ecodefence and Others v. Russia, nos. 9988/13 and 60 others, § 187; 14 June 2022; იხ. ბმული;

[16] CJEU; C-78/18- Commission v Hungary (Transparency of associations), Para 106, იხ. ბმული

უფლებადამცველთათვის უკვე დამდგარი ზიანის გამოსასწორებლად ხელისუფლების მიერ პროაქტიული ნაბიჯების გადადგმას ჰქონდა. თუმცა, გამოწვეული ზიანის გამოსწორებისა და ნდობის აღდგენის საპირისპირო მიმართულებით წასვლას გულისხმობდა, ერთი მხრივ, საკანონმდებლო შეზღუდვების შემოღება და საზოგადოების თვალში მშვიდობიანი ქმედებების დელეგიტიმიზაცია, ხოლო, მეორე მხრივ, „შიდა მტრისა" და „უცხოელი აგენტების" თაობაზე ულტრამემარჯვენე ჯგუფების ნარატივების გაზიარება.[17]

ზემოხსენებულმა მოვლენებმა საფუძველი ჩაუყარა საზოგადოებრივი ორგანიზაციების დევნასა და უფლებადამცველთა მდგომარეობის გაუარესებას. მეტიც, ეს ქმედებები თვალსაჩინოდ გამოიხატა როგორც საპროტესტო აქციების მონაწილეებზე არაადამიანური მოპყრობის, ისე უფლებადამცველებსა და აქტივისტებზე პერსონალური თავდასხმების განხორციელების მაგალითებში.

კრიტიკული აზრის მქონე პირთა დევნა და ორგანიზებული თავდასხმები

I ფაზა - დისკრედიტაცია

რუსული კანონის ათწლიანი მოქმედება რუსეთის ფედერაციაში არის ცხადი მაგალითი იმისა, თუ როგორ ხდება „გამჭვირვალობის" გამოყენება პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ და რა ეფექტები აქვს მას ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებასა და კრიტიკული ხმის ჩახშობაზე. საქართველოში რეპრესიული კანონმდებლობის მიღებამდე და მისი მიღების შემდეგ ძირითადად საპარლამენტო უმრავლესობის წევრები და მმართველ პარტიასთან დაახლოებული პირები გამოირჩეოდნენ სამოქალაქო სექტორის წინააღმდეგ სხვადასხვა შინაარსის სახელის გამტეხი ბრალდებების გაჟღერებით.[18] ვრცელდებოდა განცხადებები, რომ უფლებადამცველები არა საქართველოს, არამედ უცხო სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურებოდნენ, რაც არასახელმწიფოებრივ საქმიანობასა და ქვეყნის ღალატს გულისხმობდა.[19]

უფლებადამცველთა მდგომარეობის შესახებ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2023 წელს მისი ვიზიტის დროს, პარლამენტის შესასვლელთან გაკრული იყო პოსტერები, რომლებზეც უფლებადამცველი ქალების სურათები იყო გამოსახული **სათაურით „ეკლესიის მტრები". იქიდან გამომდინარე, რომ პოსტერები რამდენიმე კვირის განმავლობაში არ ჩამოხსნილა, შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლება ხელს უწყობდა საზოგადოების თვალში უფლებადამცველთა სახელმწიფოს მტრად აღქმას.**

---

[17] United Nations Special Rapporteur on the situation of human rights defenders, Mary Lawlor; Preliminary observations and recommendations; Tbilisi - 7 November 2023; para 12, 19, 20; იხ ბმული

[18] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი; „უცხოეთის გავლენის აგენტების" კანონი: ევროპული პრაქტიკა და საქართველო; 15.02.2023; იხ. ბმული

[19] ინტერპრესნიუსი; „ირაკლი ღარიბაშვილი-...ჩემთვის უცხო ს/ახელმწიფოს ინტერესების მსახურება, ეს არის ქვეყნის ღალატი"; 11.05.2024; იხ. ბმული ; ირაკლი ღარიბაშვილი - „ენჯეოების" წარმომადგენლები დარბიან და იცავენ არა ჩვენი ქვეყნის, არამედ უცხო სახელმწიფოების ინტერესებს, უნდა დასრულდეს უცხო სახელმწიფოების ინტერესების გაფეტიშება; 11.05.2024; იხ. ბმული

უფლებადამცველმა ქალებმა, რომლებიც მომხსენებელს შეხვდნენ, განაცხადეს, რომ თანამდებობის პირების ცილისწამებას თან ერთოდა ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ განხორციელებული დაშინების, შევიწროებისა და მუქარის ფაქტები, მათ შორის, ონლაინ სივრცეშიც.[20]

ხელისუფლების წარმომადგენლებმა გაეროს სპეციალურ მომხსენებელს უთხრეს, რომ ქაოტურობის გამო სოციალურ პლატფორმებში წესრიგის დამყარება გამოწვევას წარმოადგენს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში, სოციალურ ქსელებში ქაუტურობა თვით ხელისუფლების მფარველობით იქმნებოდა.[21] კერძოდ, საქართველოში ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელების - „ფეისბუქისა“ და „ინსტაგრამის“ მფლობელმა „მეტამ“ 2023 წლის დასაწყისში ათეულობით სოციალური ქსელის ანგარიშები, გვერდები და ჯგუფები წაშალა მათი არაავთენტურობის გამო. შიდა გამოძიებით „მეტამ“ დაადგინა, რომ ამ ყალბი ანგარიშების უკან საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი იდგა. ე.წ. ტროლები და ბოტები აზიარებდნენ პროსამთავრობო პოსტებს და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების კრიტიკას, შეიმჩნეოდა კონკრეტული პიროვნებების წინააღმდეგ მიმართული კამპანიებიც. ამ ყალბი ქსელების მიმდევრების რაოდენობამ დაახლოებით 138 000 ადამიანი, ხოლო ბოტების მიერ შექმნილი ჯგუფების წევრების ოდენობამ დაახლოებით 238 000 ადამიანი შეადგინა. აღნიშნული აქტივობების განსახორციელებლად დაახლოებით 33 500 დოლარი დაიხარჯა.[22]

ბოლო წლების განმავლობაში მაღალი თანამდებობის პირების მტრული რიტორიკიდან და ზემოაღწერილი მოვლენებიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ ხელისუფლების წახალისებამ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, უფლებადამცველებზე და კრიტიკული აზრის მქონე მოქალაქეებზე თავდასხმების განსახორციელებლად კარგი ნიადაგი შექმნა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით. ხოლო, იგივე ქმედების ძალადობით ან ძალადობის მუქარით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ან მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევით ჩადენა დამამძიმებელ გარემოებას წარმადგენს.[23]

II ფაზა - სატელეფონო მუქარები

შემდეგ ეტაპზე, „რუსული კანონის“ მოწინააღმდეგეების დევნა მასობრივი სატელეფონო მუქარების განხორციელებით დაიწყო. 2024 წლის 7 მაისის შემდეგ დაუდგენელი ნომრებიდან მუქარის შემცველ და შეურაცხმყოფელ ზარებს გამუდმებით იღებდნენ „რუსული კანონის“ წინააღმდეგ განწყობილი მოქალაქეები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და მათი ოჯახის წევრები, მათ შორის, ადამიანის

[20] United Nations Special Rapporteur on the situation of human rights defenders, Mary Lawlor; Preliminary observations and recommendations; Tbilisi - 7 November 2023; Para 36, 55-60; იხ ბმული
[21] იქვე.
[22] META; Quarterly Adversarial Threat Report; May 2023; P20; იხ. ბმული
[23] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი; მ. 156

უფლებათა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი და თანამშრომლები.[24] უცხო ქვეყნის ტელეფონის ნომრებიდან შემოსული ზარების ავტორთა მოთხოვნა იყო კანონის წინააღმდეგ პროტესტის შეწყვეტა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სხვადასხვა მუქარის რეალურად განხორციელების დაპირებას იძლეოდნენ.

სავარაუდოდ, ზარები CLI Spoofing ტექნოლოგიით ხორციელდებოდა. ამ სისტემის მეშვეობით შესაძლებელია ტელეფონის ეკრანზე გამოსახული ინფორმაციის გაყალბება და მისი ნებისმიერი ციფრებისგან შედგენა ისე, რომ მას რეალური კავშირი არ ჰქონდეს ოპერატორის ქსელთან. შესაბამისად, ამ ტექნიკის დახმარებით ინიღბება ავტორის ვინაობა და ამავდროულად იქმნება ილუზია, რომ ზარები ხან აზერბაიჯანიდან, ხან უკრაინიდან და ხან სხვა ქვეყნებიდან ხორციელდება. ექსპერტების თქმით, არსებობს სერიოზული კითხვები ზარების განხორციელების სქემაში საქართველოს მთავრობის შესაძლო ჩართულობასთან ან მხარდაჭერასთან დაკავშირებით.[25]

III ფაზა - სიძულვილის გრაფიტები

დევნის უფრო დამძიმებული ფორმის ეტაპზე, უფლებადამცველთა მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა მას შემდეგ, რაც მათ საცხოვრებელ სახლებსა და ოფისებზე დაიწყეს პოსტერებისა და სიძულვილის შემცველი გრაფიტების გაკვრა. რიგ შემთხვევებში, ერთსა და იმავე საზოგადოებრივი ორგანიზაციის ოფისზე თავდასხმა რამდენჯერმე განხორციელდა. მაგალითად, თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის ოფისის კარზე და კედლებზე პირველ ჯერზე განათავსეს სახლის წევრი ორგანიზაციების - ადამიანის უფლებათა ცენტრის, „საფარის“ და „უფლებები საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორების პოსტერები წარწერით „აგენტურა“, „ქვეყნის დამანგრევლები“ და სხვა. ხოლო, მეორე ჯერზე, შენობის ფასადზე, ღობეზე, ჭიშკარსა და ასფალტზე კვლავ განათავსეს შეურაცხმყოფელი გრაფიტები და წარწერები.[26] ანალოგიურად, „მედიის განვითარების ფონდის“ შემთხვევაში, პირველ ჯერზე ოფისთან 9 მაისს გააკრეს შეურაცხმყოფელი პოსტერები, ხოლო შემდეგ, 1 ივნისს, განათავსეს გინების შემცველი ფრაზები, გრაფიტები და შეურაცხმყოფელი სიტყვები, როგორიცაა: „მონები“, „აგენტები“, „ფსევდო ლიბერალი ფაშისტები“, „სამშობლოს მოღალატეები“ და ა.შ. ასეთივე თავდასხმები განხორციელდა სხვა უფლებადამცველების მიმართაც, მათ შორის, ყოფილი სახალხო დამცველისა და „საქართველოს ევროპული ორბიტის“ დამფუძნებელზე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ აღმასრულებელ დირექტორზე და სხვა. აღსანიშნავია, რომ ოფისებზე თავდასხმების თარიღები, ხშირად ერთმანეთს ემთხვეოდა, რაც მათ ორგანიზებულ ბუნებას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ოფისსა და მათი წარმომადგენლების სახლებთან ქონების დაზიანებისა და უფლებადამცველთა დევნის განხორციელების პარალელურად,

---

[24] ადამანის უფლებათა ცენტრი; ერთობლივი განცხადება - უფლებადამცველთა დაცვის ობსერვატორია / ადამიანის უფლებათა ცენტრი; უფლებადამცველების მდგომარეობის სერიოზული გაუარესება საქართველოში; 26.06.2024; იხ. ბმული

[25] „აი, ფაქტი“; რის ფასად მივიღეთ „რუსული კანონი“ – დაკითხვები, ცემა, მუქარის ზარები; 29.05.2024; იხ. ბმული

[26] ადამანის უფლებათა ცენტრი; ერთობლივი განცხადება - უფლებადამცველთა დაცვის ობსერვატორია / ადამიანის უფლებათა ცენტრი; „უფლებადამცველების მდგომარეობის სერიოზული გაუარესება საქართველოში”; 26.06.2024; იხ. ბმული

საქართველოს პარლამენტის წევრმა, დიმიტრი სამხარაძემ, „ფეისბუქ" გვერდზე განათავსა შემდეგი შინაარსის პოსტი: „ნეოფაშისტების, უსამშობლო აგენტების წამოწყებულ უხარისხო ბულინგს გუშინ პასუხი გაეცა! სულ მცირედსაც არ გაგიტარებთ და გაპატიებთ, აბულინგეთ ერთმანეთი! რასაც ჩვენს წინააღმდეგ განიზრახავთ, ათასჯერ უარესს, მტკივნეულს და ხარისხიანს დაგიბრუნებთ! სადმე გამოჩენა და მივარდნები კი არა, ერთმანეთის დანახვაც არ მოგინდებათ, ისე მოგექცევით! ძალიან აცუნდრუკებულები ხართ, სათითაოდ ვიცით თქვენი ვინაობა, ვერ გიშველიან თქვენი პატრონები, თუ ქართული ოცნების გუნდის ნებისმიერ წევრზე რაიმე ცუდს განახორციელებთ! რომ არ გამომრჩეს, უკან ყურებას თავი დაანებეთ, ჩვენ უკნიდან არავის ვეპარებით, წინ იყურეთ, რამეს ფეხი არ წამოკრათ! სტატუსს თან ვურთავ პასუხს, ვიდეო-რევოლუციის მსურველების ოფისებზე!" პოსტს თან ერთოდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ოფისებზე გაკეთებული შეურაცხმყოფელი წარწერებისა და გრაფიტების ვიდეოები.[27] ამგვარად, საპარლამენტო უმრავლესობის წევრის მიერ განთავსებულ პოსტსა და უფლებადამცველთა მასობრივ დევნას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დანახვა, შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ მარტივია.

IV ფაზა - ფიზიკური თავდასხმები

სამწუხაროდ, არც შეურაცხმყოფელი წარწერების განთავსება იყო კრიტიკული აზრის მქონე პირთა დევნის ზენიტი. დამატებით, დაიწყო ფიზიკური თავდასხმების ორგანიზებული სერია იმ პირებზე, რომლებიც „რუსული კანონის" მოწინააღმდეგეები იყვნენ. მაგალითად, 5-11 მაისს: რამდენიმე ადამიანმა სცემა მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელ პედაგოგს საკუთარი შვილის თანდასწრებით[28]; ქუჩაში დაესხნენ თავს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" აღმასრულებელ დირექტორსა და ტელეკომპანია „ფორმულას" გადამღებ ჯგუფს[29]; სახლთან ახლოს სასტიკად სცემეს „რუსული კანონის" წინააღმდეგ ბაიკერების მარშის ორგანიზატორს[30]; ფიზიკურად გაუსწორდნენ „თბილისი პრაიდის" თანადირექტორის მამას[31]; ფიზიკურად იძალადეს ოპოზიციური პარტია „გირჩი - მეტი თავისუფლების" ლიდერის ძმაზე,[32] 11 ივნისს კი, საკუთარ სახლთან დაესხნენ თავს მოძრაობა „სირცხვილიას" აქტივისტს.[33]

ამგვარად, მასშტაბური სახე მიეცა კრიტიკული აზრის მქონე პირთა, განსაკუთრებით კი - უფლებადამცველთა დევნას, რაც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებაა. საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, პოლიტიკური საქმიანობისა და მოსაზრების ნიშნით დევნა გამოიხატა

---

[27] ნეტგაზეთი; „დეპუტატი სამხარაძე აღიარებს, რომ შეურაცხმყოფელი წარწერების ორგანიზატორია"; 31.05.2024; იხ. ბმული; ასევე, იხ. ფეისბუქ პოსტის ბმული

[28] Civil Georgia; 700-ზე მეტი მასწავლებელი კოლეგაზე თავდასხმის 'დროულ და ეფექტურ' გამოძიებას ითხოვსიხ. 07.05.2024; ბმული

[29] რადიო თავისუფლება; „ფორმულის" გადამღებ ჯგუფსა და IDFI-ის დირექტორს თავს დაესხნენ"; 07.05.2024; იხ. ბმული

[30] ფორმულა; „ბაიკერ ლაშა ღვინიანიძეს თავს დაესხნენ. ღვინიანიძე რუსული კანონის წინააღმდეგ გამართული მარშის ერთ-ერთი ორგანიზატორია"; 08.05.2024; იხ. ბმული

[31] რადიო თავისუფლება; „ჩემი 73 წლის მამა მიცემეს!" - წერს ანა სუბელიანი;11.05.2024; იხ. ბმული

[32] რადიო თავისუფლება;„თავს დაესხნენ „აგენტების კანონის" კიდევ ერთ მოწინააღმდეგეს - გია ჯაფარიძეს"; 09.05.2024; იხ. ბმული

[33] რადიო თავისუფლება; „სამოქალაქო აქტივისტს ზუკა ბერძენიშვილს თავს დაესხნენ"; 11.06.2024; იხ. ბმული

აქციის მონაწილეებზე თავდასხმებშიც, რაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებულ ადამიანთა ინდივიდუალურ უფლებებს, დემოკრატიული საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითად პრინციპებს.[34]

ანგარიშსწორება საპროტესტო აქციების მონაწილეებზე

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყველას აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ და უიარაღოდ შეკრების უფლება.[35] თუმცა, სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე თავდასხმის პარალელურად, თანდათან შეკრების თავისუფლებასთან დაკავშირებული უფლებრივი მდგომარეობაც გაუარესდა.

2023 წლის 18 სექტემბერს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა განაცხადა, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, სავარაუდოდ, მონაწილეობდნენ ორგანიზებულ შეთქმულებაში ხელისუფლების დამხობის მიზნით. საქმეზე დაიწყო გამოძიება და, მოგვიანებით, მტკიცებულების სახით გავრცელდა ფარულად გადაღებული კადრები ერთ-ერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ტრენინგიდან. ამ კადრების გავრცელება უფლებადამცველებისთვის მიცემული ნიშანი იყო, რომ ისინი ჯერ კიდევ სავარაუდო უკანონო თვალთვალისა და მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ, რაც გასაკვირი არ არის, 2021 წელს მასშტაბური უკანონო მოსმენების გაჟონვისა და ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული განგრძობადი დაუსჯელობის გათვალისწინებით[36]. გაეროს სპეციალური მომხსენებლის შეფასებით, ტრენინგის მთავარ თემას პროტესტის მშვიდობიანად გამოხატვა წარმოადგენდა და არც გავრცელებული კადრები ადასტურებდა საპირისპიროს. ამის მიუხედავად, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ტრენინგის ორგანიზატორებისა და მონაწილეების მიმართ წაყენებული ბრალდებები გამოიყენეს შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ საკანონმდებლო შეზღუდვების გასამართლებლად. ამასთანავე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ადმინისტრაციული პატიმრობის გახანგრძლივებისა და 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის ჯარიმების ზედა ზღვრის გაზრდით, კიდევ უფრო გამძაფრდა უფლებადამცველთა წინააღმდეგ ამ მუხლების ბოროტად გამოყენების უკვე არსებული პრაქტიკა, რაც შემდგომ სასამართლოების მიერ სისტემატურად ჯარიმების დაკისრებაზეც აისახა.[37]

2024 წელს „რუსული კანონის“ გასაპროტესტებლად გამართულ აქციებზე გამოიკვეთა სამართალდამცავებისა და მესამე პირების მიერ კანონპროექტის მოწინააღმდეგეთა მიმართ ფიზიკური ძალადობისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის მძიმე შემთხვევები,

---

[34] საქართველოს სახალხო დამცველი; სახალხო დამცველი საგამოძიებო უწყებებს ბოლო დროს განხორციელებული სავარაუდო ძალის გადამეტებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტზე სამართლებრივი ღონისძიებების გატარებისკენ მოუწოდებს;13.05.2024; იხ. ბმული

[35] საქართველოს კონსტიტუცია, მ. 21

[36] ადამიანის უფლებათა ცენტი; ნინო ჩალაძე; "უკონტროლო მოსმენები და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება"; 2024; იხ. ბმული

[37] United Nations Special Rapporteur on the situation of human rights defenders, Mary Lawlor; Preliminary observations and recommendations; Tbilisi - 7 November 2023; Para 21-31; იხ ბმული

რომელთა მთავარი მიზანი, სამწუხაროდ, მხოლოდ ანგარიშსწორება და პროტესტის მხარდამჭერთა დაშინება იყო და არა უკანონო წინააღმდეგობის ან სამართალდარღვევის აღკვეთა. ზოგიერთ შემთხვევაში, სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებმა ძალის გადამეტების იმდენად მძიმე მეთოდები გამოიყენეს, რომ დაზარალებულებს სამედიცინო მკურნალობა და გადაუდებელი ოპერაციის ჩატარება დასჭირდათ. გავრცელებული კადრების მიხედვით, განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მან შესაძლოა დამამცირებელი, არაადამიანური მოპყრობის ხარისხსაც კი მიაღწია.[38]

15 აპრილიდან 17 მაისამდე პერიოდში სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა საპროტესტო აქციების დროს დაკავებული 180 პირი მოინახულეს, რომელთაგან 93 პირი, ანუ ნახევარზე მეტი, პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობაზე მიუთითებდა.[39]

- დავით ქაცარავას საქმე და სასამართლო პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავდა საპროტესტო აქციაზე დაკავებული „ანტისაოკუპაციო მოძრაობის“ ლიდერის, დავით ქაცარავას უფლებებს. იგი 14 მაისს დააკავეს, როცა სიტყვით მიმართავდა სამართალდამცავებს და ხაზს უსვამდა, რომ რაკი თბილისიდან 40 კილომეტრში რუსული ჯარი დგას, რუსული რეჟიმის მსახურების ნაცვლად სწორედ ამ მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა იყო მართებული. როგორც დავით ქაცარავა იხსენებს, ამ მიმართვის შემდეგ დააფიქსირა ერთ-ერთ ოფიცერთან შემოსული ზარი, რომელმაც მაშინვე ბრძანება გასცა და მისკენ 5-6 პოლიციელი გაემართა დასაკავებლად. დაკავების მომენტში, მას წინააღმდეგობა არ გაუწევია, მაგრამ მასზე ძალადობა აქციის ტერიტორიიდან გაყვანისთანავე დაიწყო და ეს მრავალჯერადი ხასიათის იყო.[40] როგორც დავით ქაცარავა ამბობს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრებმა მას ხუთჯერ სცემეს გინებისა და სხვა შეურაცხმყოფელი შეძახილების ფონზე. ერთდროულად სამი-ოთხი ჯალათი კასტეტიანი ხელთათმანით დამიზნებით სცემდა სახის არეში და თავში. ასევე, ჰქონდათ მისი გაგუდვის მცდელობა. მისი თქმით, ბოლო ცემის შემდეგ, მას სურათი გადაუღეს და დამკვეთს გაუგზავნეს. დაკავებამდე დავით ქაცარავას არანაირი დაზიანება არ ჰქონდა, მაგრამ იმავე დღეს ის სახისა და თავის არეში მძიმე დაზიანებებით, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან კლინიკაში გადაიყვანა, სადაც ოპერაცია ჩაუტარდა. ხოლო, მისი კლინიკიდან გამოწერა მხოლოდ 20 მაისს მოხერხდა.[41]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო დავით ქაცარავას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების დარღვევას ედავებოდა, რაც წვრილმან ხულიგნობასა და პოლიციისადმი დაუმორჩილებლობას გულისხმობს.

---

[38] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; საქართველო: ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ; 2024; გვ. 7,8,17; იხ. ბმული

[39] IPN; Public Defender's Office: From April 15 to May 17, representatives of the Public Defender visited 180 people arrested during the protests, 93 persons indicated ill-treatment by the police; 17.05.2024; იხ. ბმული

[40] რადიო თავისუფლება; "ცემის შემდეგ სურათებს თუ ვიდეოებს მიღებდნენ, ეს უნდა გადავაგზავნოთო" - დავით ქაცარავა; 15.05.2024; იხ. ბმული

[41] საქართველოს ამბები; „ყურში ჩამესმა ერთ-ერთი ჯალათის შეძახილი - მოკალი“ - ქაცარავა ცემის დეტალებს იხსენებს; 21.05.2024; იხ. ბმული

სასამართლო სხდომაზე დავით ქაცარავამ კიდევ ერთხელ აღნიშნა: „აქ ვზივარ იმისთვის, რაც არ ჩამიდენია“. შინაგან საქმეთა სამინისტრომ საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად სასამართლოში მტკიცებულებები ვერ წარადგინა. სხდომაზე მოწმის სახით მოწვეული იყო 2 პოლიციელი, რომლებმაც დაკავების ოქმი შეადგინეს. მათ განაცხადეს, რომ დაკავების პროცესში არ ეკეთათ სამხრე კამერები.[42] ამის მიუხედავად, დაკავების დროს ნაცემი დავით ქაცარავა სასამართლომ 2000 ლარით დააჯარიმა.[43] მისი თქმით, საქმე თავიდან ბოლომდე ფაბრიკაციაა და მიზნად მხოლოდ მასზე ზეწოლასა და დაშინებას ისახავს.[44]

„რუსული კანონის“ წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებზე დაკავებულთა სასამართლო სხდომებზე ძირითადად ერთი და იგივე სურათი იქმნება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო დაკავებულთა წინააღმდეგ მხოლოდ პოლიციელებს წარადგენს და მტკიცებულებად მხოლოდ მათი გამოკითხვის ოქმებს იყენებს. იშვიათად ხდება ვიდეომტკიცებულების წარდგენა. შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ რიგ შემთხვევებში, ადამიანები მხოლოდ პოლიციელების ჩვენების საფუძველზე არიან ცნობილნი სამართალდამრღვევად, რადგან პოლიციელი თავისთავად არის მიკერძოებული და ტენდენციური მოწმე პროფესიიდან გამომდინარე და ის, ცხადია, დაკავების ოქმის საწინააღმდეგო ჩვენებას ვერ მისცემს. აქედან გამომდინარე, სამწუხარო პრაქტიკაა, როცა მოსამართლე მხოლოდ პოლიციელების ჩვენების საფუძველზე იღებს პირის დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილებას.[45]

გამოძიებასთან დაკავშირებული გამოწვევები

ქვეყანაში, სადაც უფლებადამცველებზე თავდასხმები ხორციელდება, ხელისუფლება ვალდებულია საკუთარ თავს დაუსვას შეკითხვები და აიღოს მომხდარზე შესაბამისი პასუხისმგებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო ან აიგნორებს, ან ახალისებს რეპრესიებს, რაც, საბოლოო ჯამში, ქვეყანაში არსებულ სერიოზულ კრიზისზე მიუთითებს.[46]

მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების დისკრიმინაცია მათი სამუშაოს გამო.[47] ამისათვის კი, ხელისუფლების წარმომადგენლებმა თავი უნდა შეიკავონ ნებისმიერი მუქარისგან, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისკენ მიმართული ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზიანის მიყენებისგან. უფრო მეტიც, ხელისუფლებას აქვს

---

[42]რადიო თავისუფლება; ჯარიმების „კონვეიერი“ - სასტიკად ნაცემ დავით ქაცარავასაც დასჯიან?; 11.07.2024; იხ. ბმული

[43] რადიო თავისუფლება; დაკავების დროს ნაცემი დავით ქაცარავა სასამართლომ 2000 ლარით დააჯარიმა; 23.07.2024; იხ. ბმული

[44] ფორმულა; ქაცარავა: 2-ვე პოლიციელის ჩვენება ერთმანეთს აცდენილი და ურთიერთგამომრიცხავი იყო; 05.07.2024; იხ. ბმული

[45]რადიო თავისუფლება; ჯარიმების „კონვეიერი“ - სასტიკად ნაცემ დავით ქაცარავასაც დასჯიან?; 11.07.2024; იხ. ბმული

[46] United Nations Special Rapporteur on the situation of human rights defenders, Mary Lawlor; Preliminary observations and recommendations; Tbilisi - 7 November 2023; para 78; იხ ბმული

[47] Guidelines on the Protection of Human Rights Defenders, OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), 2014, პარა. 9.

ვალდებულება, რომ დაიცვას უფლებადამცველები მესამე პირების უკანონო ქმედებებისგან და დაგმოს ყოველი ასეთი შემთხვევა ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის გამოყენებით.[48] ასევე, საჯარო მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში, მათთვის ხელის დაფარების ნაცვლად, უნდა ჩატარდეს სწრაფი, საფუძვლიანი, დამოუკიდებელი და გამჭვირვალე გამოძიება.[49] ამგვარად, დაცული იქნება საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული თანასწორუფლებიანობის პრინციპიც.

მიუღებელია საზოგადოებრივი ორგანიზაციების შევიწროების საქართველოში დამკვიდრებული მანკიერი პრაქტიკა. მიუხედავად იმისა, რომ აშკარად იკვეთება საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა დევნის შემთხვევები და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის შემადგენლობა, ამ ეტაპზე, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართვის მიუხედავად, მათზე, ოფისებსა თუ საცხოვრებელ სახლებზე განხორციელებული თავდასხმების ფაქტები ხელისუფლების რეაგირების მიღმა რჩება და არც შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები ტარდება.

აქციებზე დაკავებული პირების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ საჯაროდ გავრცელებულ კადრებში, ზოგჯერ, კარგად ჩანს სამართალდამცველთა მიერ განხორციელებული ძალადობის ფაქტები, მათ შორის, სავარაუდო წამების ან დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის შემთხვევები, საქართველოს სპეციალური საგამოძიებო სამსახური გამოძიებას მაინც მხოლოდ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით აგრძელებს ყველა საქმეზე. ზოგიერთ შემთხვევაში, საჯარო წყაროებითაც არის შესაძლებელი სავარაუდოდ დანაშაულის ჩამდენი პირების იდენტიფიცირება, მაგრამ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურსა და საქართველოს პროკურატურას ჯერ კიდევ არ გაუვრცელებიათ ინფორმაცია აქციებზე მოძალადე საპოლიციო ძალების წარმომადგენლების გამოვლენისა და ბრალდების შესახებ. რაც, ცხადია, აღნიშნული უწყებების არაეფექტიან საქმიანობაზე მიუთითებს.[50]

დასკვნა

განუზომლად დიდია საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი ხელისუფლების უკანონო ქმედებების მხილებისა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესში. საქართველოს ხელისუფლებამ ევროკავშირის მიერ განსაზღვრული 9 დათქმის შესრულების ნაცვლად, რომელიც საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობის გაძლიერებასაც გულისხმობდა, მიიღო რეპრესიული „რუსული კანონი“, რომელიც მიზნად საზოგადოებრივი ორგანიზაციების კრიტიკული ხმის ჩახშობას ისახავს და ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს კონსტიტუციას, ისე ადამიანის უფლებათა

[48] Guidelines on the Protection of Human Rights Defenders, OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), 2014, პარა. 12.
[49] Guidelines on the Protection of Human Rights Defenders, OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), 2014, პარა. 14.
[50] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; საქართველო: ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ; 2024; გვ. 8,14; იხ. ბმული

ევროპულ კონვენციას და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტს.

აღნიშნული კანონის მიღებას წინ უძღოდა საზოგადოების თვალში სამოქალაქო სექტორის დისკრედიტაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის დეზინფორმაციული ფორმით წარმოჩენის კამპანიები. ნელ-ნელა ქვეყანაში უფლებადამცველთა მდგომარეობა უფრო და უფრო გაუარესდა, შემდგომ კი ათასობით უკანონობის მხილების გამო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის განკუთვნილმა „სასჯელმა“ საკანონმდებლო დონეზეც გადაინაცვლა.

წლების განმავლობაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული მტრული რიტორიკის ფონზე, კარგი ნიადაგი შეიქმნა ასეთი ორგანიზაციების წარმომადგენელთა დევნის განსახორციელებლად, რაც საწყის ეტაპზე სატელეფონო მუქარებში, ხოლო შემდეგ - ფიზიკურ თავდასხმებსა და საპროტესტო აქციებზე „რუსული კანონის“ მოწინააღმდეგეთა ანგარიშსწორებაში გამოიხატა.

საპროტესტო აქციებზე დაკავებული პირების ნახევარზე მეტი პოლიციას არასათანადო მოპყრობაში ადანაშაულებს. გავრცელებული კადრებით ჩნდება ეჭვი სამართალდამცავთა მხრიდან პროტესტის მონაწილეებზე დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობისა. ამასთან, გამოიკვეთა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების ბოროტად გამოყენების არაერთი შემთხვევა, რითაც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი აღნიშნული კოდექსის საერთაშორისო სტანდარტებთან მოყვანის საჭიროებას. ეს ყოველივე კი ხაზს უსვამს, რომ მასობრივი დაკავებების მიზანი პროტესტის მხარდამჭერთა დაშინება იყო და არა სამართალდარღვევათა აღკვეთა.

მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მათი წარმომადგენლებისა და კანონის მიმართ კრიტიკულად განწყობილი პირების დევნასთან დაკავშირებით გამოძიების უმოქმედობა, რაც გამოიხატება ყოველგვარი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისგან თავის შეკავებით, გამოძიების არასწორი კვალიფიკაციით წარმართვით და სხვა.

რეკომენდაციები

საქართველოს პროკურატურას და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს

- დროულად ჩატარდეს ეფექტური და ობიექტური საგამოძიებო მოქმედებები საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და კრიტიკული აზრის მქონე პირთა დევნის შემთხვევების გამოძიების მიზნით. მათ შორის:

  - გამოძიების გზით დადგინდეს უფლებადამცველებთან და მათი ოჯახების წევრებთან განხორციელებული მუქარის შემცველი სატელეფონო ზარების წარმომავლობის, ორგანიზატორების და ზარების ავტორების ვინაობა.

- გამოძიების გზით დადგინდეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ოფისებზე დატანილი შეურაცხმყოფელი გრაფიტებისა თუ წარწერების ორგანიზატორების და შემსრულებლების ვინაობა.
- პასუხისმგებლობაში მიეცნენ სიტყვის, აზრის გამო, ანდა პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით დევნის განხორციელებაში მონაწილე და დევნის წამქეზებელი, მათ შორის, მაღალჩინოსანი პირები. დადგინდეს დამამძიმებელი გარემოებები დევნის ძალადობით ან ძალადობის მუქარით ჩადენის შემთხვევებში. ასევე, დადგინდეს, იყო თუ არა დევნა განხორციელებული სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებითა და მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევით.

- მოხდეს სამართალდამცველთა მხრიდან აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ გადაჭარბებული ძალის გამოყენების, არასათანადო მოპყრობის ფაქტების, მათ შორის, სავარაუდო წამების დროული და ობიექტური გამოძიება, კანონდამრღვევი პოლიციელების, მოძალადე პირთა ჯგუფებისა და მათი წამქეზებლების დადგენა მათთვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით.

- უკანონო მოსმენების საქმეებთან დაკავშირებით ჩატარდეს სწრაფი, ეფექტიანი, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიება, ხოლო უკანონო მოსმენებისა და თვალთვალის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ყველა პირი მიეცეს შესაბამის პასუხისგებაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

- აუცილებელია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს შეკრების და გამოხატვის თავისუფლების დაცვა საქართველოს კონსტიტუციის, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისად.
- აღიკვეთოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების თვითნებური გამოყენება უფლებადამცველთა შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შეზღუდვის მიზნით.
- მოხდეს შესაბამისი სამართალდამცავი პირების გადამზადება მოქალაქეთა არაადამიანური ან/და დამამცირებელი მოპყრობის დაუშვებლობასა და წინააღმდეგ შემთხვევაში გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ზომებთან დაკავშირებით.

საქართველოს საერთო სასამართლოებს

- იმ შემთხვევებში, როცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ვერ წარმოადგენს საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად საჭირო საკმარისს მტკიცებულებებს, მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლემ სამართალდამრღვევად არ ცნოს მოქალაქე მხოლოდ პოლიციელთა ჩვენების საფუძველზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს

- საკონსტიტუციო სასამართლომ განახორციელოს საკუთარი უფლებამოსილება და შეაჩეროს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება.

საქართველოს პარლამენტს

- საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებმა შეწყვიტონ საზოგადოებრივი ორგანიზაციების სტიგმატიზაციისკენ და მათი საქმიანობის დელეგიტიმაციისკენ მიმართული საჯარო განცხადებების გაკეთება.
- გაუქმდეს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონი.
- პარლამენტის წარმომადგენლებმა გადადგან პროაქტიული ნაბიჯები, რათა აღმოიფხვრას პარლამენტსა და სოციუმში უფლებადამცველებზე განხორციელებული თავდასხმები.
- შევიდეს ცვლილებები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში იმგვარად, რათა ის შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს, ასევე აღიკვეთოს 166-ე და 173-ე მუხლების თვითნებური გამოყენება მასობრივი დაკავებების გასამართლებლად.
- შემუშავდეს საკანონმდებლო ცვლილებები ფარული საგამოძიებო მოქმედებების მომწესრიგებელ ნორმებთან დაკავშირებით, რათა ის შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს.